№2783 2015 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ღია გასაღების დირექტორიაში (ICAO PKD) გაწევრიანებისათვის საჭირო რეგისტრაციის და ყოველწლიური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიმართ განსხვავებული პირობების დადგენის თაობაზე

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიეცეს უფლება, ღია გასაღების დირექტორიაში გაწევრიანებისათვის (მონაცემთა ელექტრონული გაცვლის მომსახურების მიღების მიზნით) საჭირო რეგისტრაციისა და ყოველწლიური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ხელშეკრულების გაფორმებისას არ გაითვალისწინოს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებითა და მე-11 – მე-13 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილი**
მოვალეობის შემსრულებელი